პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი პ ა რ ტ ი ი ს ც ე ნ ტ რ ა ლ უ რ ი კ ო მ ი ტ ე ტ ი ს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ უ მ ა ღ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო ს ა დ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ს რ მ ი ნ ი ს ტ რ თ ა ს ა ბ ჭ ო ს ო რ გ ა ნ ო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 მაისი შაბათი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 122 (15032)

ს ა ლ ხ ი ს კ ა ნ დ ი დ ა ტ ე ბ ი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1971 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ".

იმ მიზნით, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად, შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებულ იქნას მოსავალი, მთლიანად და გადაჭრიბებით შესრულდეს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესყიდვის გეგმა და უზრუნველყოფილ იქნას მათი გამოტანა და დაცვა, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, „საკოოფლტექნიკას", სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს, სსრ კავშირის კავშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს უზრუნველყონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დამამზადებელი და სატრანსპორტო ორგანიზაციების დროულად მომზადება 1971 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, „საკოოფლტექნიკასა" და გზათა სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ნება დერთოთ მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების დასაჩქარებლად, ექვსნილი პირობების მიხედვით, შეცვალონ 1971 წლის ივლის-სექტემბერში მარცვლეულსაღები კომბაინების მიწოდების ვადები გამოუფიფილი ფონდებთ სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, აგრეთვე გაგზავნონ საჭირო შემთხვევებში მოსავლის აღების დროს უაზახეთის სს რესპუბლიკაში გამოცდილი კომბაინერები სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან.

„საკოოფლტექნიკას" სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით ნება დერთოთ საქონრო მარცვლეული ტრანსპორტიორებიდან „ტრანსსოფლტექნიკის" სატრანსპორტო საწარმოთა ავტოკოლონები ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში მოსავლის ასაღებად და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დასამზადებლად.

სატრქტოროო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სხვა სამინისტროები მოვალენი არიან 1971 წელს ვადამდე დაამზადონ და მიაწოდონ სოფლის მეურნეობას გამოუფიფილი ფონდების ანგარიშში მოსავლის ასაღები სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

იმ სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებიც ამზადებენ და აწვდიან სოფლის მეურნეობასა და წყალთა მეურნეობას ტრაქტორიის, ავტომობილების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ექსკავატორების ათადარიგო ნაწილებს, დაევალათ უზრუველყონ მათი ვადამდე გაგზავნა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ათადარიგო ნაწილების თანაბარზომიერ მიწოდებას რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით.

1971 წელს მოსავლის ასაღებად კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო და პურეულის მიღებ საწარმოებს დამატებით გამოეყოფათ მანქანები, მოწყობილობა, ნავთობპროდუქტები და მასალები.

სსრ კავშირის ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური ძრეწველობის სამინისტროს დაევალა გამოიძუშაოს და დამატებით მიაწოდოს 1971 წელს ნავთობპროდუქტები მოსავლის აღების სამუშაოთა განსახორციელებლად.

სსრ კავშირის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ მიაწოდონ სოფლისა და წყალთა მეურნეობის სასოფლო მშენებლობის, პუეულის მიღებლი და დამამზადებელი ორგანიზაციების საჭიროებისათვის ლითონი, სამენი ძასალები, ლითონის ნაკეთობანი და მოწყობილობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს დაევალათ დროულად დაამავრონ პურეულის მიღებ საწარმოთა მომზადება 1971 წლის მოსავლის მარცვლეულის მისაღებად, განსახორციელონ ამ საწარმოებში საჭიო ღონისძიებანი დიდტვირთიანი ავტომობილებიდან და ავტოძატარებლებიდან ძაცვლეულის რაც შეიძლება სწოაფად გადმოტვირთვისათვის, ამასთან მოახდინონ მოქმედი ავტომობილსაცილელების რეკონსტრუქცია და ახლის დადგმა. დააკომპლექტონ პურეულია მიღებ საწარმოთა ტექნიკურ-ქონდური კონტროლის გაბაოფილებისი საჭირო რაოდენობის ლაბორატორიები, რათა დროულად და სწორად გასაზღვრონ ძარცვლეულის ხარისხი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის დამზადების სამინისტროს დაევალათ შეასრულონ დადგენილ ვადებში 1971 წლის გეგმით გათვალისწინებული ელევატორიებისა და მექანიზებული მარცვლეულის საწყობების ამოქმედების დავალებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთოთ 1971 წლის მოსავლის ასაღებად გამოიყენონ ყველა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის სატვირთო ავტომობილები და ბორტიანი ავტომობილები, მათი ძღოლთა შემადგენლობა და სარემონტო საშუალებანი, გარდა ამ დადგენილებით განსაზღვრულ სამინისტროთა და უწყებათა ავტომობილებისა.

მოკავშირე ოსსაუალიკების ძინისტრთა საბჭოებს დაევალათ დაადგინონ მოსავლის ასაღებად გამოყოფილი ავტომობილების საავტომობილო მეურნეობებისადმი, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისადმი მიმაგრების წესი და ამ ავტომობილებისაგან ავტოკოლონების შექმნის წესი, აგრეთვე უზრუველყონ ავტომობილების მოძარაგება სათადარიგო ნაწილებითა და სარემონტო საშუალებებით.

საჭიროდ არის მიჩნეული მოიწყოს სატვირთო ავტომობილების საადლემოსო მუშაობა მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების გადასატანად. ამ მიზნით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, საავტონომიო ოლქების აღმასკომები მოვალენი არიან დააკომპლექტონ მძღოლთა შემადგენლობით ამ მოსავლის აღებაზე დასაქმებული ყველა ავტომობილი ამ ჭარიუდით, ოთმ ერთ ავტომობილზე მუშაობდეს ორი შოფერი, საჭირო შემთხვევაში ჩაბაბან ამ საქმეში სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შოფრები.

მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, აგრეთვე სასილოსე მასის გამოზიდვაზე მივლინებულ შოფრებს, შემკეთებელ მუშებს, მექანიკოსებს, ავტოკოლონათა უფროსებსა და საავტომობილო მეურნეობათა დისპეტჩერებს ენახებათ საშუალო ხელფასის 75 პროცენტი, მაგრამ იგი ძირითადი მუშაობის ადგილის სატარიფო განაკვეთზე ნაკლები არ უნდა იყოს მთელი მიგლინების მანძილზე. აღნიშნულ თანხას უხდიან საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები ამ მუშაკთა ძირითადი მუშაობის ადგილზე თავიანთი სახსრებიდან. ამის გამო მივლინებულ მუშაკებს არ ეძლევათ დღიური და ბინის ფული.

შოფრებისათვის, რომლებიც დიდტვირთიან ავტომობილებსა და მისაბმელიან ავტომობილებზე (ავტომატარებლებზე) მუშაობენ 1971 წლის მოსავლის მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოსაზიდად, დადგენილია დამატებითი პრემირება სატარიფო განაკვეთის 25 პროცენტის ოდენობით. პრემია ერიცხებათ თვითეულ ცვლაში მუშაობის შედეგების მიხედვით, თუ შესრულდება ცვლის დავალება სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობის განმავლობაში.

დაწესებულია მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების სათესლე მრავალწლოვანი ბალახების, სბოჭკოვე სელისა და სასილოსე კულტურების მოსავლის კარგი ხარისხით და უდანაკარგოდ აღებაზე მომუშავე მეშანქანე ტრაქტორისტების, კომბაინერებისა და კომბაინის აგრეგატების სხვა მუშაკთა მატერიალური წახალისების ღონისძიებანი მეურნეობაში დადგენილი სეზონური ნორმის შესრულებისათვის.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს უფლება ეძლევათ 1971 წელს კარტოფილის, ოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და კენჭრის მოსავლის 10-მდე პროცენტი ამისათვის გამოიყენონ, რომ ხელფასის ანგარიშში მიჰყიდონ საბჭოთა მეურნეობების მუდმივ მუშაკებს, აგრეთვე ამ კულტურების მოსავლის აღებაზე მოწვეულ მუშაკებს საგეგმო ოვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს საცალო ფასისა.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია ეძლევათ გამოიყენონ წახალისებანი, რომლებიც დაწესებულია ამ დადგენილებით საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება ეძიენებათ 1971 წელს, გამონაკლისის სახით, რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების შინაგანი რესურსების ხარჯზე მეურნეობათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე და პურეულის მიმღებ საწარმოებში მუშაობისათვის მოიზიდონ ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც იწვევენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისა და პურეულის მიმღებ საწარმოებში მუშაობისათვის ამ დადგენილების შესაბამისად, ენახებათ ძირითადი მუშაობის ადგილის საშუალო თვიური ხელფასის 50 პროცენტი. აღნიშნულ თანხას უხდიან საწარმოები და ორგანიზაციები მუშა-მოსამსახურეთა ძირითადი მუშაობის ადგილის მიხედვით საკუთარი სახსრებიდან. ამასთან დაკავშირებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე და პურეულის მიმღებ საწარმოებში მუშაობისათვის მოწვეულ მუშა-მოსამსახურეებს დღიური და ბინის ფული არ ეძლევათ.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დაადგინონ იმ მოსახლეობის შრომის ანაზღაურებისა და გადაუვანის ხარჯების წესი, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში და იმუშაოს პურეულის მიმღებ საწარმოებში.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს ნება ეძლევათ კომბაინერებს, კომბაინერ-მექანიკოსებს, ტრაქტორისტებსა და ლაფეტიანი სამკელი მანქანების მემანქანეებს, რომლებიც საუძაოდ მიდიან რუსეთის სფსრ და უაზახეთის სსრ ყამირი მიწების რაიოსებში, აუცილებელ დროებითი მუშაობის ადგილამდე და უკან მგზავრობის დროებითი მუშაობის ადგილზე და გადაუბადონ საშუალო ხელფასი გზაში ყოფნის დროს და საბჭოთა მეურნეობასა თუ კოლმეურნეობამი ჩასვლის პირველი სამი დღის განმავლობაში (საშუალო ხელფასი გამოიხაზრიშონ ძირითადი მუშაობის ადგილზე. უკანასკნელი სამი თვის ხელფასის თანხიდან). აღნიძნულ მექანიზატორთა შრომის ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობებში უნდა მოხდეს ყამირის საბჭოთა მეურნეობებში მოქძედი ნორმებისა და ფასდების მიხედვით.

კომბაინერების, კომბაინერ-მექანიკოსებს, ტრაქტორისტებსა და ლაფეტიანი სამკელი მანქანების ძემანქანეებს ენახებათ ძირითადი მუშაობის ადგილის საშუალო ხელფასის 75 პროცენტი. აღნიშნულ თანხას უხდიან საწარმოები და ორგანიზაციები მექანიზატორთა ძირითადი მუძაობის ადგილზე საკუთარი სახსრებიდან და ხელფასის ფონდში არ შეიკვნ. ამასთან დაკავშირებთ მივლინებულ მექანიზატორებს დღიური და ბინის ფული არ ეძლევათ.

რუსეთის სფსრ და უაზახეთის სსრ ყამირი მიწების რაიონებში სხვა რაიონების კოლმეურნეობიდან 1971 წლის მოსავლის აღებაზე მივლინებულ კომბაინერებს, კომბაინერ-მექანიკოსებს, ტრაქტორისტებს, ლაფეტიანი სამკელი მანქანების მემანქანეებსა და შოფრებს ფულად მისაცემელს ძძლევენ მეურნეობები, სადაც მივლინებული არიან, ნაცვლად დღიურისა და ბინის ფულისა. ამასთან დაკავშირებით ძირითადი მუშაობის ადგილის საშუალო ხელფასი ამ კოლმეურნეებს არ ენახებათ.

კოლმეურნეობებს რეკომენდაცია ეძლევათ მივლინებულ მექანიზატორებს შრომა აუნაზღაურონ საბჭოთა მეურნეობებში მოქმედი ნორმებისა და ფასდების მიხედვით.

ნებადართულია შემოიღონ წელს მარცვლეულისა და შაქრის ჭარხლის გამოზიდვაზე 2 ცვლაში მომუშავე შოფრების (2 მძღოლი 1 ავტომობილზე) დამატებითი პრემირება დღეღამეში სულ ცოტა 20 საათის განმავლობაში ავტომობილების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფისათვის სატარიფო განაკვეთის 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო ციმბირის, ურალის, ქვემო და შუა ვოლგის რაიონებში და უაზახეთის სსრ ყამირის რაიონებში მარცვლეულის გამოზიდვაზე მომუშავე შოფრების პრემირება სატარიფო განაკვეთის 40 პროცენტის ოდენობით. პრემიები უნდა დაერიცხოთ მუშაობის სადღეღამისო შედეგების მიხედვით, თუ შეასრულებენ სადღეღამისო დავალებას და წესიერულ მდგომარეობაში ჩააბარებენ ავტომობილს მომდევნო დღეღამეებში მუშაობისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება ეძლევათ 1971 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის უველაზე დაძაბულ პერიოდებში მოიზიდონ მძღოლთა შემადგენლობანი ტრაქტორები და ავტობეხნიმზიდები, აგრეთვე მემანქანე ტრაქტორისტები და სხვა მექანიზატორები და შოფრები სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოებიდან, დაწესებულებებიდან და ორგანიზაციებიდან ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ დადგენილ საგეგმო დავალებათა შესრულებას.

საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დირექტორებს ნება ეძლევათ 1971 წელს მუშაკებს, რომლებიც თვის, ნამჯის მოსავლის აღებასა და სილოსის დამზადებაზე არიან დასაქმებული, მისცენ (უფასოდ) დამატებითი ახალზღაურების სახით და საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ბუდმოვ მუშაკებს, რომლებსაც შინაური პირუტყვი ჰყავთ პირად საკუთრებაში, მიჰყიდონ საგეგმო ოვითღირებულებით დამზადებული უხეში საკვებისა და სილოსის განსაზღვრული ნაწილი.

კოლმეურნეობებს რჩევა ეძლევათ გამოიყენონ ამ დადგენილებით დაწესებული წახალისებანი საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკებისათვის.

სსრ კავშირის სახბანკი ვალდებულია გამონაკლისის სახით 1971 წლის 1 ნოემბრამდე ცალეულ კოლმეურნეობებს, ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებს, ჭიმთსანაშენოებსა და ცხენთსამომშენებლოებს, მეფრინველეობის ფაბრიკებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამინისტროსა და „საკოოფლტექნიკას" საცდელ და სასწავლო მეურნეობებს, პუეულის მიმღებ საწარმოებს, „საკოოფლტექნიკის" რაიონულ და სარაიონთაშორისო გაერთიანებებს (განაოფილებებს), მაღაზიებსა და ბაზებს, რომლებიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, მათი შუამდგომლობით მისცეს მოკლევადიანი კრედიტი სათადარიგო ნაწილებს, სარემონტო მასალებს, ნავთობპროდუქტებს შესაძენად მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და სატვირთო ავტომობილების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების სამუშაოთა, მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ასანაზღაურებლად, აგრეთვე გრძელვადიანი კრედიტი — ცალეულ კოლმეურნეობასა და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომლებიც სრულ სამეურნეო ანგარიშზე არიან გადაყვანილი, მოსავლის ასაღები ტექნიკის შესაძენად სსრ კავშირის სახბანკის სესხის ვადაგასული დავალიანების მოუხდენად.

მარცვლეულის ძიღების ვადების შემცირების მიზნით რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უფლება მიეცათ პურეულის მიღების დაწყებიდან 1971 წლის 1 დეკემბრამდე უამირი მიწების რაიონების პურეულის მიმღებ პუნქტებში მარცვლეულის დატვირთვა-განტვირთვის სამუშაოზე დასაქმებულ მტვირთავ მუშებს აუნაზღაუროს შრომა 50 პროცენტით გადიდებული ფასდებით იმ პირობით, თუ გამომუშავების დღიურ ნორმას შეასრულებენ.

სსრ კავშირის გზათა სამინისტრო, რუსეთის სფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრო და საზღვაო ფლოტის სამინისტრო ვალდებული არიან პირველ რიგში (გეგმის მიხედვით) უზრუნველყონ ვაგონების, გემებისა და კონტეინერების მიწოდება მანქანების, მოწყობილობის, სათადარიგო ნაწილების, ავტომობილების სალტეების, ლითონის ნაგლინის, ხე-ტყისა და საწვი მასალების, ნავთობპროდუქტების, საშენი კონსტრუქციების, არამადნეული და სხვა მასალების დასატვირთად და კონტროლი დაწესონ რკინიგზებსა და წყალსავალ გზებზე ტვირთიანი მარშრუტებისა და გემების მოძრაობისადმი, რაც ეგზავნებათ სოფლის მეურნეობასა და წყალთა მეურნეობას, პურეულის მიღებ საწარმოებს, სარწყავი და დასაშრობი სისტემების მშენებლობას, ელევატორებს, კომბინირებული საკვების საწარმოებს, წისქვილებსა და ობიექტებს, რომლებიც დაკავშირებული არიან 1971 წელს მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადებისა და დაცვის უზრუნველყოფასთან.

ზეგეგმითი ტვირთზიდვის საჭიროების დროს უზრუნველყონ ვაგონების, გემებისა და კონტეინერების მიწოდება აღნიშნული ტვირთების გასაგზავნად სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ საბჭოებთან შეთანხმებით დაევალათ 1971 წლის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების ძოსავლის აღებისა და გაძანის პერიოდისათვის დააწესონ სასოფლო რაიონებისა ან რაიონთა ჯგუფებისათვის, აგრეთვე ოლქებისათვის, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის გარდამავალი წითელი დროშები ფულადი პრემიებით, რომლებიც გადაეცემათ ავტოკოლონებსა და სხვა სატრანსპორტო ქვეგანაყოფებს ყოველი 10 დღის მუშაობის შედეგებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს რჩევა მიეცათ დააწესონ საპატიო წოდება „1971 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ავტომობილით გადაზიდვის წარჩინებული" საოლქო აღმასკომის, სამხარეო აღმასკომის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სგელის გადაცემით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საძინისტრომ, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის დამზადების საძინისტრომ და „საკოოფლტექნიკამ" უნდა უზრუველყონ 1971 წლის მოსავლის ასაღებად გამოყოფილი მატერიალური რესურსების მკაცრი მომჭირნეობა.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის საობარეო, საოლქო, რაიონულ კომიტეტებსა და სამრეწველო საწარმოთა პარტორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ, რომ სამრეწველო საწარმოებმა შეფობის წესით დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, პურეულის ძიღებ და მარცვლეულის გადასამუშავებელ საწარმოებს 1971 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების მომზადებასა და ჩატარებაში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა 1971 წელს მიიღონ მარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი, აიღონ მოსავალი უდანაკარგოდ, საჭირო რაოდენობით დაამზადონ საკვები, მთლიანად და გადაჭრიბებით შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების მიყიდვის გეგმები.

ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი მ ძ ე რ ა ვ ი

გ. მენაღარიშვილი

ქალაქ ქობულეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად იქნა დასახელებული მოწინავე მკერავი გული მენაღარიშვილი. იგი ცვლის დავალებებს 115 პროცენტით ასრულებს. სურათზე: გული მენაღარიშვილი.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა
(საქდესის ფოტოქრონიკა)

პრაღის მშრომელთა წერილი საბჭოთა ხალხისადმი

ძვირფასნო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის საწარმოთა მუშები, მშრომელი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობის მუშაობის დღეებში შეგიკრებიეთ, პრაღა-9 მუშათა რაიონში, რათა მივესალმოთ მომავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მეთაურობით, გულწრფელ ძმურ სალამს ვუთვლით სოციალიზმის დიადი ქვეყნის მშრომელებს, მთელ საბჭოთა ხალხს!

მიმდინარე წელი ერთობ ღირსსახსოვარია ჩვენთვის, ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტებისა და ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელისათვის. ჩვენ აღვნიშნავთ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავს. ვაჯაკობთ იმ წარმატებული ბრძოლის შედეგებს, რომელსაც ჩვენი მშრომელი ხალხი პარტიის ხელმძღვანელობით აწარმოებდა ჩეხოსლოვაკიისა და საზღვარგარეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პატერერული ფაშიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური საშინაოდ ერი ომის წინააღმდეგ, სოციალისტური საშინაოდ ერი ომის დამყარებისათვის.

ჩვენი ეროვნული თავისუფლების აღდგენამ, თვით ჩვენი სახელმწიფოს აღორძინებამ, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის თვალსა მიმდინარეობამ უკიდურესად დაადასტურა ჩვენი ხალხის რწმენა, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხებს არ შეიძლება ჰქონდეთ თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სოციალიზმი, თუ უმჯობესი ძმური ერთიანობა არ ექნებათ მძლავრ საბჭოთა კავშირთან!

ეს აზრი რომ სამართლიანია, ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა ახლო წარსულის მწარე გამოცდილებამ, როცა ჩვენს ქვეყანაში შემორჩენილი მემარჯვენე ოპორტუნისტული და ანტისოციალისტური ძალების ბღოკმა საერთაშორისო რეაქციის დახმარებით გააჩაღა აშკარა ბრძოლა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს თვით საფუძვლების წინააღმდეგ.

მემარჯვენე ძალები ყველა საშუალებას იყენებდნენ ნაციონალისტური და ანტისაბჭოთა ისტერიის გავრცელებისათვის, ჩირქს სცხებდნენ ყოველივე წმინდასა და პატიოსანს, რასაც ჩვენი მშრომელი ხალხი ათეული წლებით გულში ინახავდა.

ჩვენ მადლობას ვუხდით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს ძმური ინტერნაციონალური დახმარებისათვის, რომელიც ჩეხოსლოვაკიის კომუნისტებსა და მუშათა კლასს გაუწიეს!

ახლახან დამთავრებულმა საბჭოთა კომუნისტების XXIV ყრილობამ კვლავ დაადასტურა, რომ საბჭოთა კავშირი ამჟამად მძლავრი მსოფლიო სახელმწიფოა, რომელსაც შეეძლება დაეყრდნონ არა მარტო სოციალისტური ქვეყნები, მუშათა და კომუნისტური პარტიები, არამედ მთელი მსოფლიოს სხვა დემოკრატიული და პროგრესული ძალებიც. ყრილობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების გამარჯვების, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბედისათვის პასუხისმგებლობის მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა. ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხი ამაყობს, რომ ეკუთვნის სოციალისტური ქვეყნების ოჯახს, რომლებიც საბჭოთა კავშირის მეთაურობით აშენებენ ახალ სამართლიან სოციალისტურ საზოგადოებას!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XIV ყრილობის მუშაობა უეცლობლად მოწმობს, რომ ჩვენს კომუნისტებს, ყველა მშრომელთან ხელიხელჩაკიდებულნი, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალღონე და უნარი მოახმარონ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შემდგომ ყოველმხრივ განვითარებას, მთელ მსოფლიოში სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებას.

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მტკიცე და უფლვენ მეგობრობას!

დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩეხოსლოვაკიელი და საბჭოთა კომუნისტების ძმური თანამშრომლობა!

მარად საბჭოთა კავშირთან ერთად, და სხვაგვარად არასოდეს არ იქნება!

პრაღის მშრომელები.

1971 წლის 27 მაისი,
პრაღა-9.

პრაღა. 27 მაისი. სკკპ დელეგაცია, რომელიც მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის მუშაობაში, 27 მაისს ეწვია ქარხანა „ავტო-პრაღას", სადაც გაიმართა მიტინგი. სურათზე: ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მიტინგის პრეზიდიუმში.

ფოტო საქდესის სპეც. კორესპონდენტის ვ. მუსაელიანისა.

სახალხო საქმისათვის ბრძოლის ნახევარი საუკუნე

სკკპ დელეგაციამ დაათვალიერა გამოფენა „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის 50 წელი"

პრაღა, 27 მაისი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს გამოფენას „ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის 50 წელი" ეწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტთა პარტიის XIV ყრილობის მუშაობაში.

დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, დელეგაციის წევრებმა: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ვ. გრიშინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. პ. ე. შელესტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. თ. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სკკპ სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. პ. რიაბოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის ელჩმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ამხ. ს. ვ. ჩერვონენკომ დიდი ინტერესით დაათვალიერეს გამოფენის განყოფილებანი და ცალკეული სტენდები.

გამოფენის დათვალიერების დროს სკკპ დელეგაციას ახლდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კაპეკი.

საპატიო დამთვალიერებელთა წიგნში საბჭოთა სტუმრებმა ჩაწერეს:

„გამოფენა „ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის 50 წელი" მკაფიოდ ასახავს ნახევარი საუკუნის მანძილზე ჩეხოსლოვაკიელი კ



თვითეულ პარტიულ ორგანიზაციაში უნდა უზრუნველყოთ ყველა კომუნისტის აქტიური მონაწილეობა პარტიულ გადაწყვეტილებათა განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში, განვავითაროთ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა — ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საქმის გაუმჯობესების ნაცადი მეთოდი.

სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციიდან.

კომუნისტი წარმოებაში

ერა მგონია მთელ რესპუბლიკაში ჩვენს ქარხანაზე ძველი საწარმო არსებობდეს. მისმა ზოგიერთმა კორპუსმა თითქმის 90 წლის ყამია სვლას გაუძლო. ვამაყობთ მშობლიური ქარხნის რევოლუციური და შრომითი ტრადიციებით. თბილისის რკინიგზის ყოფილი მთავარი სახელოსნოების მუშები კლასობრივი შერკინების ყველა ეტაპზე წინა ხაზზე იდგნენ და ერთ-ერთ მოწინავე რაზმს წარმოადგენდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში. 1968 წლის დეკემბერში ზეიმით აღინიშნა საწარმოს პარტორგანიზაციის 70 წლისთავი. აქ მოღვაწეობდა პროფესიონალ რევოლუციონერთა მთელი კომორტა. რარიგად გაუბრწყინდებოდათ მათ თვალები, რომ ენახათ ჩვენი ქარხანა დღეს!

რკინიგზის ყოფილმა მთავარმა სახელოსნოებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი ცვლილება განიცადა: ჯერ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანად გადაკეთდა, მეორე წელია კი ელექტროვაგონშემკეთებელ საწარმოს უწოდებენ. ამჟამად აქ 1.400-მდე კაცი მუშაობს, რომელთაგან ყოველი მესამე კომუნისტია. ეს კი დიდი ძალაა. მე ასე მიმაჩნია: ჩვენ, კომუნისტები, დაგვაყენა აქ პარტიამ ისევე, როგორც საბრძოლო პოსტზე, რომ ჭეშმარიტ „გაჯანსაღებული“ სამეზავრო ვაგონები და ელექტროსექციები.

ქარხნის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, გულმოდგინედ მოეკიდნენ ყველაფერს, რაც კი პარტიის XXIV ყრილობაზე ხდებოდა. და ეს სავსებით გასაგებიც აის, რადგან პარტიის ხაქმე ხალხის საქმეა. ყრილობის გადაწყვეტილებები ასახულია ჩვენი სამშობლოს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესები. პარტიის ნებით, მილიონობით საბჭოთა ადამიანის გმირული შრომით იცვალეს სახე ჩვენმა ქალაქებმა და სოფლებმა, ამაღლდა ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრება. ეს ნათლად ჩანს ჩვენი საწარმოს, მისი ადამიანების მაგალითზე.

ახლა თვითეული შრომითი კოლექტივი, რომელიც თვალს ავლებს გავლილ გზას, ამოწმებს, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს მომავალში. თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ წარმატებით გაანაღდა მერვე ხუთწლედის დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით, ხოლო მომდინარე წლის პირველ კვარტალში საუცხოო მუშობისათვის“ სსრ კავშირის გზათა სამინისტროსა და რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია დაიმსახურა.

ამ მიღწევებში ჩაქსოვილია ქარხნის კომუნისტების, მთელი კოლექტივის წვლილი.

მოწინავენი ბევრნი არიან. ისინი იღვწიან ყველა საამქროში, თვითეულ ბრიგადაში, ცალკეულ უბნებზე, და ძნელია ყველა მათგანის ჩამოთვლა. მაგრამ, რომ იტყვიან, მჭობნის მჭობი არ დაილევა, ჩვენთანაც სწორედ ასეა. მარტო რად ღირს მეგელელ კონსტანტინე ილურიძის, ანუ, როგორც მას ქარხანაში უწოდებენ, „ჩვენი კოტეს“ სახელი. აქ გაატარა მან თავისი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლები, აქ შეეპარა თმაში ვერცხლი, აქ ეზიარა შრომის სიტკბოს — მრავალ ჭილდოს და მათ შორის ყველაზე უმაღლესს — სოციალისტური შრომის გმირის წოდებას. ამ, თავისი საქმის საუკეთესო ოსტატის, დაუღალავი შრომელის, ნოვატორის, საზოგადოებრივი მუშაკის, აღმშრდელის გარშემო მუდამ ნახავთ ახალგაზრდებსა და უპარტიო მუშებს. ყველა დიდი პატივისცემით ეპყრობა ვეტერანს, რადგან იგი თვით თავისი ცხოვრებით უჩვენებს მათ პირად მაგალითს. იცის კოტემ, თუ როგორ უნდა გაადვილოს ენთუზიაზმი ადამიანში, განუმტკიცოს მას კომუნისმის მშენებლის მაღალი გრძნობა. ილურიძე მკაცრი მოთხოვნია საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი, რომელთაც ხელს უწვდის ყოველ ნაბიჯზე, ყოველ საჭირო შემთხვევაში. და ამას აკეთებს არა მადლობის გულისათვის, არამედ თვით ცხოვრების, მომავლის გულისათვის.

ბევრი რამის თქმა შეიძლება სხვა კომუნისტებზეც. თავიანთი საქმის გამოცდილ ოსტატებზე, ნოვატორებსა და ენთუზიასტებზე, რომლებიც ჩვენს საამქროშიც არიან. ელექტროსამანქანო საამქროში 50 კომუნისტი უშუალოდ წარმოებაშია დასაქმებული. კომუნისტური შრომის ნიმუშს იძლევა კომუნისტი ზინაკალი ზ. ჩიტაძე, რომელიც ცვლის ნორმას ორმაგად ასრულებს. კომუნისტი ი. ცხოვრებოვი კი გამსხვლეებულ ბრიგადას ხელძღვანელობს და პირად მაგალითს უჩვენებს შრომაში. იგი დაფასებულია მექვანეთა და მჭრელთა პროფესიებს. საამქროს კომუნისტებმა: ვ. ქოქოშვილმა, ე. ბედიანაშვილმა, ი. აბაკუმოვმა, ლ. ადაბაშვილმა, ე. ტუბოვმა, ხ. ხააკიანმა, ვ. ბერაძემ და სხვებმა სწრაფად აითვისეს ახალი პროფესია და დაიწყეს გადმონარე წყლის მანქანის მონტაჟი. ამასთან იმდენად სრულყოფილად დაეუფლნენ საქმეს, რომ გზათა სამინისტრომ დანადგარის გამოშვებისათვის ფულადი ჯილდო მოგვაკუთვნა. ქარხნის საამქროთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მარტო მიმდინარე წლის ოთხ თვეში სამჯერ მოვიპოვეთ გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 10 პროცენტით, ხელფასის ფონდიდან დაიზოგა 7.870 მანეთი.

ამ დღეებში ახალი გამარჯვება ვიზეიმეთ: ორი ელექტროძრავი შევაკეთეთ, რითაც პირველი ნაბიჯი გადავდგით ჩვენი მომავალი ძირითადი პროდუქციის გამოშვების საქმეში. უნდა გენახათ, როგორ უხაროდა ეს ამბავი ყველას, განსაკუთრებით კი ამ საქმის უშუალო მონაწილეებს: კომუნისტებს — ოსტატ ა. ხოზაშვილსა და ელექტროწენაკალ შ. ჯავახიშვილს, უპარტიო მუშას ა. კეკლიშვილს.

მთელ ქარხანაში, კერძოდ კი ჩვენს საამქროში, გვყავანან რაციონალიზატორები, ანუ, ხატოვნად რომ ვთქვათ, „მოუსვენარი ანრის“ ადამიანები. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია კომუნისტების ბ. ზაქარეიშვილისა და უ. ბერაძის წვლილი. მარტო მათი ერთი წინადადების შედეგად დაიზოგა 1.800 მანეთი. რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია საამქროს უფროსი, ახალგაზრდა კომუნისტი ჯ. ერაძე, რომელიც უნარიანად რაზმავს მშრომელებს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მთელი ძალა ადამიანებშია! მათ არა მარტო ოქროს ხელები აქვთ, არამედ ნათელი გონებაც. და კომუნისტურ მშენებლობაში მით უფრო მეტ წარმატებებს მივაღწევთ, რაც უფრო მოვიზიდავთ მათ საერთო საქმეებში, გავუღვივებთ ენთუზიაზმს, ვიზრუნებთ მათი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მშრომელის არც ერთმა კარგმა აზრმა და წინადადებამ უკვალოდ არ უნდა ჩაიაროს!

ლენინის მიერ შექმნილი ჩვენი დიდი პარტია ხალხში უსაზღვრო ავტორიტეტთა და ნდობით სარგებლობს. მაგრამ პარტიის ავტორიტეტი მექანიკურად როდი გადაეცემა მის თვითეულ წევრს. კომუნისტმა ამხანაგების ნდობა და პატივისცემა უნდა მოიპოვოს თავისი შრომით, ხალხისადმი უანგარო სამსახურით, პრინციპულობით, პატიოსნებით. დიდი ლენინი მოგვიწოდებს მაღლა აეწიოთ პარტიის წევრის წოდება, მიგვითითებს ყველაფერში ვიყოთ მაწინავენი, განვასახიეროთ საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები.

მაგრამ აბა გულზე ხელი დავიდოთ და წმიდა სინდისით ვთქვათ: ყოველთვის ყველაფერს თუ ვაკეთებთ წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის, კომუნისტის მოვალეობათა პირნათლად შესრულებისათვის?

პარტია მუდმივად ამაღლებს თავისი წევრების პირად პასუხისმგებლობას საქმის მდგომარეობისათვის. შეუძლებელია ჩვენი დღეების ადამიანი, მით უმეტეს, კომუნისტი, არ ფიქრობდეს, თუ რა გაკეთა დღეს და ხომ არ შეეძლო მეტი სარგებლობა მოეტანა, რა მოასწრო ცხოვრებაში და კიდევ რის მოსწრება შეუძლია.

კომუნისტები ყველაფერზე ვაგებთ პასუხს: მთლიანად ქარხნისა და მის ცალკეული უბნების ჩამორჩენისთვისაც, თვითეული მუშის ცუდი მუშაობისთვისაც, უყაირათობისა და პროდუქციის ცუდი ხარისხისთვისაც. და რაკი პასუხს ვაგებთ, მაშ ზომებიც უნდა მივიღოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად. არ შეიძლება კომუნისტი შეურიგდეს ნაკლოვანებებს, ჩამორჩენას.

კომუნისტის ადგილი ადამიანთა შორის, მასების შუაგულშია. იგი ყოველთვის უნდა ცხოვრობდეს ამხანაგებისათვის, შრომელებისათვის ზრუნვით, გულისხმიერებას იჩენდეს მათი მოთხოვნებისა და საჭიროებისადმი. განა შეიძლება რომელიმე კომუნისტმა აზრად გაიკვლოს, ჩემთვის მონდობილ საქმეს ხომ ვასრულებ, და გვერდით რაც ხდება, მე არ მეხებიან? უსულგულობა საერთოდ და მით უმეტეს პარტიის წევრისათვის, დიდი ბოროტებაა, თუ კი რაიმე სათანადოდ არ კეთდება, ჩაერევი, გაასწორე, უკარნახე, მიალწიე იმას, რომ სწორად შესრულდეს.

საქმეს ზოგჯერ ფორმალიზმიც ბორკავს. აილი ზოგიერთი პარტიული კრება და პარტიბიუროს სხდომა. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ხშირად ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ორი წვეთი წყალი: ავამაღლოთ წარმოების ეფექტურობა, გავაუმჯობესოთ წარმოების კულტურა, ავამოქმედოთ გამოუყენებელი რეზერვები, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა... ეს, ცხადია, სწორია, მაგრამ ზოგიერ სიტყვებია. აუცილებელია ყოველ ხაკითხზე საქმიანი გადაწყვეტილება მივიღოთ, მივუთითოთ კონკრეტულ შემსრულებლებზე, რათა შემდგომ მოვთხოვოთ მათ პარტიული კანონის მთელი სიმკაცრით.

პარტიული გადაწყვეტილება კოლექტიური აზრისა და კოლექტიური შრომის ნაყოფია. ამიტომ იგი საქმიანი, კონკრეტული უნდა იყოს. ამას კი აღწევენ იქ, სადაც პარტიული კრებები მაღალ დონეზე ეწყობა, სამართლიანი, პრინციპული კრიტიკა სუფევს. ასეთი კრიტიკა ეხმარება ადამიანს, ზრდის მას, მატებს ენერგიას.

კომუნისტები გადაჭრით უნდა გამოდიოდნენ უპასუხისმგებლობის, მოჩვენებითობის, ხმაურის, ფორმალიზმის წინააღმდეგ, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ ცოცხლობს.

ჩემი აზრით, კომუნისტისათვის, მისი აქტივობის ამაღლებისათვის არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პარტიული დავალება. იგი კომუნისტს აკავშირებს ორგანიზაციასთან, შესაძლებლობას აძლევს გამოავლინოს თავისი ძალები და უნარი, აყალიბებს ნამდვილი პარტიელის თვისებებს. ხდება ხოლმე, რომ ნაკლები გამოცდილების მქონე ახალგაზრდა კომუნისტი ყოველდღიურად იზრდება დავალებათა შესრულების პროცესში. ამის საუკეთესო მაგალითია შ. ჯავახიშვილი, რომელმაც მოკლე ხანში განვლო გზა ზინკლიდან ოსტატამდე. არჩევნებზე საამქროს კომკავშირული ბიუროს მდივნად, ასრულებს აგიტატორის საპატიო მოვალეობას.

ერთი სიტყვით, პარტიული დავალება კომუნისტის სიმწიფის გამოცდაც არის და პარტიული წრთობის სკოლაც. მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: პარტიულ დავალებებს ვერ დავყოფთ მცირედად და დიდად, უბრალოდ და რთულად. ყველა მათგანი საჭირო და აუცილებელია. მაგრამ რადგანაც ადამიანები ერომანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ხასიათით, უნარით, ცოდნით, გამოცდილებით, პარტიულმა უნდა გაითვალისწინოს ის, თუ ვის როგორი დავალება მისცეს. ისევე როგორც ორკესტრში თვითეულ მუსიკოსს, პარტორგანიზაციაშიც ყოველ კომუნისტს თავისი ადგილი აქვს. ამიტომ ყოველთვის სწორად უნდა განვსაზღვროთ ეს ადგილები.

ჩვენი საწარმოს კომუნისტებს დიდი საქმეები მოგველის. მეცხრე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქარხნის სრული რეკონსტრუქცია. გაორკეცდება წარმოების მოცულობა. ეს ახარებს თვითეული ჩვენგანის გულს და ახალი შრომითი შემართებისათვის აღვავფრთოვანებს. ახალ წარმატებებს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ კვლავაც თვითეულ ნაბიჯს შევუხამებთ პარტიის მოთხოვნებს, გამოვიჩენთ ჭეშმარიტად სახელმწიფო მიდგომას დიდსა და მცირე საქმეში, ვიქნებით პრინციპულნი და კრისტალურად პატიოსანნი.

ა. ლორია,

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ელექტროსამანქანო საამქროს პარტიბიუროს მდივანი.

ხალხის დიდი ნდობა

ამომრჩეველთა ფიქრები ს. ნ. ჩურკინთან

ბათუმი, 28 მაისი. დიდი გულითადობისა და პატრიოტული ამაგალობის ვითარებაში ჩაიარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში აჭარის ასს რესპუბლიკისაგან დეპუტატის არჩევნების № 499 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრებმა დეპუტატობის კანდიდატთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანთან ალბერტ ნიკიტას-ძე ჩურკინთან.

წინასაარჩევნო კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე სოფელ გონიოს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ზ. ბეშერაძე და ამავე კოლმეურნეობის მეჩაი ფ. ქოქოლაძე, ახალსოფლის კოლმეურნეობის მეჩაი ფ. ჭანნიძე, გონიოს მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა პ. ჭელეშკელ, ახალგაზრდა ამომრჩეველი ა. ბოლოლეიში. მათ თქვეს, რომ დიდი სიყვარულით მისცემენ ხმას ღირსეულ კანდიდატს ა. ნ. ჩურკინს.

დასასრულ გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ა. ნ. ჩურკინი, რომელსაც წინასაარჩევნო კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის.

— თითოეულ კომუნისტს, როცა საბჭოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად ასახელებენ, — თქვა ა. ნ. ჩურკინმა, — ესმის, რომ ამით მკაფიოდ ვლინდება უწინარეს ყოვლისა ხალხის პატივისცემა და სიყვარული თავისი პარტიისადმი. დიდი პატივი, რომელიც წილად მარგუნეთ, მავალებს ძალ-ღონე არ დავიშურო, რათა გავამართლო თქვენი ნდობა და ვიყო ხალხის ერთგული მსახური.

შემდეგ ამბ. ა. ნ. ჩურკინმა თქვა, რომ ახლანდელი საარჩევნო კამპანიის დიდი პოლიტიკური აქტივობა გამოწვეულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით. ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ყრილობის გადაწყვეტილებანი დიდი დროის მანძილზე ყველა ჩვენთაგანისათვის საქმიანობის პროგრამაა. XXIV ყრილობამ მოთავარ ამოცანად დასახა ჩვენი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

ამბ. ა. ნ. ჩურკინი შეხვდა აგრეთვე თავის ამომრჩეველებს დაბა ხელვაჩაურში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ალბერტ ნიკიტას ძე ჩურკინთან ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრებს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. ხუხილაშვილი, აჭარის ასსრ მინისტროთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. დავითაძე და აჭარისა და ხელვაჩაურის რაიონის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

(საქდესი).

ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** 28 მაისს კრემლში მიიღო ჩილეს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი **კლოდომირო ალმეიდა მედინა,** რომელიც მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტით იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

საუბრის დროს მხარეებმა განიხილეს საბჭოთა კავშირ-ჩილეს ურთიერთობის საკითხთა ფართო წრე, აგრეთვე ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემები. **ა. ნ. კოსიგინმა,** განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი დიდი სიმპათიითა და მეგობრულად ეკიდება ჩილელ ხალხს, რომელიც სახალხო ერთიანობის ძალების ხელმძღვანელობით დაადგა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესის გზას.

ხაზგასმით აღინიშნა საბჭოთა კავშირისა და ჩილეს მისწრაფება განავითარონ ყოველმხრივი ურთიერთთანაშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხებისა და მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

საუბარმა გულითადობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრი მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ე. შუბაუსკასმა 27 მაისს კრემლში მიიღო ჩილეს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კლოდომირო ალმეიდა მედინა, რომელიც ოფიციალურ ვიზიტადაა საბჭოთა კავშირში საბჭოთა მთავრობის მოწვევით.

ჩილეს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლოდომირო ალმეიდა მედინამ 27 მაისს საუზმე გაუმართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ვ. ვ. კუზნეცოვს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის მინისტრები ნ ს. პატოლიჩევი და ა. ფ. ლომაკო, სხვა ოფიციალური პირნი.

ჩილეს მხრივ — ჩილეს რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში გილიერმო დელ პედრეგალ ერერა, აგრეთვე მინისტრის თანმხლები პირნი. საუზმის დროს კ. ალმეიდა მედინამ და ვ. ვ. კუზნეცოვმა მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

იმავე დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ა. კირილინმა მიიღო ჩილეს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი კლოდომირო ალმეიდა მედინა.

გაიმართა საუბარი, რომლის დროს მხარეებმა განიხილეს სსრ კავშირისა და ჩილეს ეკონომიური, სავაჭრო და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხები.

საუბარმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მიფრინავს „კოსმოს-423“

1971 წლის 27 მაისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-423“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

მესაზღვრის დღის აღსანიშნავად

28 მაისს თბილისის ოფიცერთა სოლოქო სახლში გაიმართა საბჭოთა სასაზღვრო ჯარების 53 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

პრეზიდიუმში არიან **შ. ჭანუყვაძე, ა. ინაური, ო. ლოლაშვილი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ბუხრაშვილი,** პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები, სასაზღვრო ჯარების ვეტერანები.

კრება გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ვ. გოშაძემ.**

მესაზღვრე მეომართა სახელოვან საბრძოლო და მხედრულ საქმიანობაზე მოხსენება გააკეთა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა **ლ. სენკოვმა.**

კრებაზე წაიკითხეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ი. ანდროპოვისა და სსრ კავშირის სასაზღვრო ჯარების სამხედრო საბჭოს მისასალმებელი დეპეშები ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების პირადი შემადგენლობისადმი.

წითელი დროშის ორდენი გადაეცა ოფიცერ **ა. ზუდინს,** შრომის წითელი დროშის ორდენი — ოფიცერ **პ. ომელიანენკოს,** წითელი ვარსკვლავის ორდენი — ოფიცრებს **ა. კუზნეცოვს, მ. პოლოსინს, ა. ხუდინსა** და სხვებს. მთელ რიგ წარჩინებულ მესაზღვრეებს გადაეცათ მედლები.

დასასრულ გაიმართა ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარების სამღერისა და ცეკვის ანსამბლის საღღესასწაულო კონცერტი. (საქდესი).

სამრეწველო საფუძველზე

მეცხოველეობის რენტაბელობის გზები

ბამს წინათ მომიხდა ყოფნა მოსკოვის ოლქის ზოგიერთ მეურნეობაში, სადაც რძისა და ხორცის წარმოება სამრეწველო საფუძველზეა აგებული. მეურნეობის ასეთი გაძღოლა გულისხმობს უწინარეს ყოველისა ახალი, უფრო სრულყოფილი მანქანური ტექნიკის დანერგვას, ჯიშთმოშენების, ზოოტექნიკური და სანიტარულ-ვეტერინარული მუშაობის კარგად დაყენებას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

მოსკოვს ახლოს მდებარეობს საბჭოთა მეურნეობა „ზარია კომუნიზმა“. მეურნეობის ქალაქთან სიახლოვემ წინასწარ განსაზღვრა მისი სპეციალიზაცია როგორც რძის მწარმოებელისა.

საბჭოთა მეურნეობის სამრეწველო კომპლექსი რძის ნამდვილი ფაბრიკაა. 1970 წლის დამდეგისათვის მეურნეობას ჰყავდა 4.160 სული „მაგრელი“ ჯიშის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 2.332 ძროხა. აქ იყენებენ ცხოველთა შენახვის ბაგურ-საძოვრულ სისტემას, ამასთან საძოვარზე შენახვის პერიოდი 135 დღეს გრძელდება.

მერძევეობის ფერმები მეცხოველეობის მთელი ქალაქებია, რომლებშიც შედის ყველა საჭირო შენობა და ნაგებობა, რაც უზრუნველყოფს ფერმაში მუშაობის ციკლურობას და პროდუქციის წარმოების ეფექტურობას.

ძროხებს ინახავენ ოთხმწკრივიან საძროხეებში ორას-ორას და ხუთას-ხუთას სულს. მეურნეობის გამოცდილება და გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ საკვები კულტურების მაღალი მოსავლიანობისა და შრომითი პროცესების მექანიზაციის თანამედროვე დონის პირობებში მერძევეობის ფერმის ყველაზე რაციონალური ზომაა 400 სულის ტევადობა.

მეურნეობაში დანერგილია საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია. ფერმების მუშაკები აოსებითად მანქანური წველის ოსტატები არიან. თვითეული მწველიანი 60 ძროხას ემსახურება და წველის ოთხი საწველი აპარატი. საწარმოო პროცესების მექანიზაციამ შესაძლებელი გახადა მერძევეულ ჯოგში ერთი მომუშავის საშუალო დატვირთვის გადიდება 11,6-დან (1965 წ.) 19,5 სულამდე. ამჟამად შრომის დანახარჯები ცენტნერი რძის წარმოებაზე 0,57 კაც-დღეს არ აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ეს მეურნეობა 1965 წლამდე ზარალიანთა რიცხვში იყო. სარძეო-სამრეწველო კომპლექსის მშენებლობისათვის მიცემულ დიდ კაპიტალურ დაბანდებათა უნარიანად, ეფექტურად გამოყენებამ იგი შემოსავლიან, მაღალრენტაბელურ საწარმოდ აქცია. მეურნეობა შედარებით მოკლე ხანში მოწინავეთა რიცხვში რომ გამოვიდა, ამას ხელი შეუწყო მრავალწლიანი კულტურული საძოვრების შექმნამ.

საბჭოთა მეურნეობაში ახლა 1.078 ჰექტარი საძოვრებია, რომლებიც იაფი საკვების მიღების საიმედო წყაროს წარმოადგენენ. საძოვრიდან მიღებული ცენტნერი საკვები 2 მან. 70 კაპიკი ჯდება, რაც 8,5-ჯერ იაფია საკვებ ძირხვენებზე, 5,3-ჯერ — ნათეს ერთწლიან ბალახებზე, 3,1-ჯერ — სიმინდის მწვანე მასაზე. იაფი საკვების გამოყენების შედეგად ცენტნერი რძე 1969 წელს მეურნეობას 14 მან. 91 კაპიკი უჯდებოდა. რძის თვითღირებულების შემდგომი შემცირება წარიმართება უმთავრესად საკვების გაიაფებისა და მრავალწლიანი საძოვრების პროდუქციისტრნებით მიაქვთ საბჭოთა მეურნეობის სარძეო ქარხანაში, სადაც მის გადამუშავებას ეწევიან. ქარხანა უშვებს სხვადასხვა პროდუქციას: ნორმალიზებულ რძეს, კეფირს, არაჟანს, ხაჭოს. მომხმარებლებისათვის მისაყიდად გამზადებული რძის პროდუქცია უშუალოდ მიაქვთ მოსკოვის, პოდოლსკის, დომოდედოვოს მაღაზიებში.

წარმოებისა და გადამუშავების ერთი მეურნეობის ფარგლებში გაერთიანება უზრუნველყოფს რძის პროდუქციის უფრო მაღალ ხარისხს, ვინაიდან ამასთან მნიშვნელოვნად მცირდება დრო პროდუქციის წარმოების დაწყებიდან მისი გადამუშავების დამთავრებამდე. მცირდება აგრეთვე ზედმეტი სამმართველო და რძის გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯსამეურნეო ხარჯები.

მოყვანილი ცდა ახასიათებს სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ეფექტიანობას. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებში ნათქვამია: „მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების ზრდის დაჩქარებისა და მისი ეფექტიანობის ამაღლების მიზნით უზრუნველყოფილ მეცხოველეობის მეკანიზებული ფერმების მშენებლობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ავაგებოთ ძალაუფალი ახლოს მსხვილი სახელმწიფო, საკოლმეურნეო და საკოლმეურნეო-საბჭოთა ტიპის კომბინატები სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის, აბრეშუმის მეფრინველეობის ფაბრიკები“.

მოსკოვსახლო საბჭოთა მეურნეობის ამ გამოცდილებას თუ გამოვიყენებთ, საქართველოს დიდი ქალაქების გარეუბნებში და საკურორტო ზონებში შესაძლებლობა გვაქვს შევქმნათ მეცხოველეობის სამრეწველო კომპლექსები.

ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომლიდანაც არსებითად უნდა დავიწყოთ ასეთი კომპლექსების მშენებლობა, ეს არის საკვების ინტენსიური წარმოება სარწყავ მიწებზე, რაც უზრუნველყოფს საკვების სტაბილურ ბაზას. საკვების ბაზის განმტკიცება შესაძლებელს გახდის ვაჯარმოოთ რძე რიტმულად, ისე რომ არ იყოს დაშვებული მკვეთრი სეზონური რყევა. ამისათვის საჭიროა ფერმისპირა სარწყავი ნაკვეთები ჰექტარზე 9-11 ტონა საკვები ერთეულის გარანტირებული მოსავლით. ასეთი მოსავალი შესაძლებელს გახდის მინიმუმამდე შევამციროთ სატრანსპორტო ხარჯები.

სამრეწველო საფუძველზე მეცხოველეობის ეკონომიკურ ეფექტიანობაზე ბოლოს ერთ-ერთი მთავარი საკითხი, რომელიც ამ ახალ ფორმებში ეკონომიკურ ეფექტიანობას ეხება, ეს ეხება ადამიანურ ფაქტორს. ეს ეხება ადამიანებს, ზრდის მას, მატებს ენერგიას.

კომუნისტები გადაჭრით უნდა გამოდიოდნენ უპასუხისმგებლობის, მოჩვენებითობის, ხმაურის, ფორმალიზმის წინააღმდეგ, რომლებიც აქა-იქ ჯერ კიდევ ცოცხლობს.

ჩემი აზრით, კომუნისტისათვის, მისი აქტივობის ამაღლებისათვის არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პარტიული დავალება. იგი კომუნისტს აკავშირებს ორგანიზაციასთან, შესაძლებლობას აძლევს გამოავლინოს თავისი ძალები და უნარი, აყალიბებს ნამდვილი პარტიელის თვისებებს. ხდება ხოლმე, რომ ნაკლები გამოცდილების მქონე ახალგაზრდა კომუნისტი ყოველდღიურად იზრდება დავალებათა შესრულების პროცესში. ამის საუკეთესო მაგალითია შ. ჯავახიშვილი, რომელმაც მოკლე ხანში განვლო გზა ზინკლიდან ოსტატამდე. არჩევნებზე საამქროს კომკავშირული ბიუროს მდივნად, ასრულებს აგიტატორის საპატიო მოვალეობას.

ერთი სიტყვით, პარტიული დავალება კომუნისტის სიმწიფის გამოცდაც არის და პარტიული წრთობის სკოლაც. მაგრამ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: პარტიულ დავალებებს ვერ დავყოფთ მცირედად და დიდად, უბრალოდ და რთულად. ყველა მათგანი საჭირო და აუცილებელია. მაგრამ რადგანაც ადამიანები ერომანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ხასიათით, უნარით, ცოდნით, გამოცდილებით, პარტიულმა უნდა გაითვალისწინოს ის, თუ ვის როგორი დავალება მისცეს. ისევე როგორც ორკესტრში თვითეულ მუსიკოსს, პარტორგანიზაციაშიც ყოველ კომუნისტს თავისი ადგილი აქვს. ამიტომ ყოველთვის სწორად უნდა განვსაზღვროთ ეს ადგილები.

ჩვენი საწარმოს კომუნისტებს დიდი საქმეები მოგველის. მეცხრე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ქარხნის სრული რეკონსტრუქცია. გაორკეცდება წარმოების მოცულობა. ეს ახარებს თვითეული ჩვენგანის გულს და ახალი შრომითი შემართებისათვის აღვავფრთოვანებს. ახალ წარმატებებს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, თუ კვლავაც თვითეულ ნაბიჯს შევუხამებთ პარტიის მოთხოვნებს, გამოვიჩენთ ჭეშმარ

ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომლებიც

მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ინტერესებს და ეშველება საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეს,

შთაგონებული არიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის იდეალებით,

მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განუხრელად იბრძოლონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, თავიანთი მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის უცვლელი კურსის შესაბამისად,

ადასტურებენ ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპებისადმი,

ისწრაფვიან განამტკიცონ და დაამკვიდრონ გულწრფელი მეგობრობის ტრადიციული ურთიერთობა ორივე სახელმწიფოსა და ხალხს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადების გზით, ამასთან საფუძველი ჩაუყარონ მათს შემდგომ განვითარებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე.

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები საზეიმოდ აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანასა და მათს ხალხებს შორის ყოველთვის იარსებებს ურღვევი მეგობრობა. ისინი კვლავაც განვითარებენ და განამტკიცებენ მათ შორის არსებულ მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობას პოლიტიკურ, ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლიანობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 2

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი როგორც სოციალისტური სახელმწიფო და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, რომელმაც მიზნად დაისახა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნა, მჭიდროდ და ყოველმხრივ ითანამშრომლებენ თავიანთი ხალხების სოციალურ-ეკონომიურ მონაპოვართა დაცვისა და შემდგომი განვითარების პირობების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3

ხელმძღვანელობენ რა მისწრაფებით — ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების დაცვას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა მთელი სიმტკიცით განაგრძობენ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ითვალისწინებენ მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის მიღწევასა და უზრუნველყოფას ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას რომ ახორციელებენ, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები იბრძოლებენ მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევისათვის, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის აკრძალვისათვის.

მუხლი 4

ხელმძღვანელობენ რა ყველა ხალხის თავისუფლებისა და თანასწორუფლებიანობის იდეალებით, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები გმობენ იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს, ყველა მათ ფორმასა და გამოვლინებას. ისინი კვლავაც იბრძოლებენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის, რათა შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია ყველა კოლონიური ქვეყნისა და ხალხისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, განუხრელად იბრძოლებენ რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ.

მუხლი 5

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კვლავაც გააფართოებენ და გაღრმავებენ ყოველმხრივ თანამშრომლობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში — მრეწველობაში, სოფლისა და წყალთა მეურნეობაში, ირიგაციაში, ბუნებრივი რესურსების დამუშავებაში. ენერგეტიკის განვითარებაში, ეროვნული კადრების მომზადებასა და ეკონომიკის სხვა დარგებში.

მხარეები გააფართოებენ ვაჭრობასა და ზღვაოსნობას ორივე სახელმწიფოს შორის ურთიერთსარგებლიანობისა და უმეტესი ხელშეწყობის პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 6

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ხელს შეუწყობენ თავიანთი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ტურიზმის, ფიზიკური კულტურის და სხვა დარგებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ მშრომელთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოების, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლობისა და უშუალო კავშირურთიერთობის გაფართოებას იმ მიზნით, რომ უფრო ღრმად გააცნონ ერთმანეთს ორივე ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, შრომა და მიღწევები.

მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები უაღრესად არიან დაინტერესებულნი უზრუნველყონ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთი მოქმედების შეთანხმებას საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობისათვის ბრძოლაში და ამ მიზნით რეგულარულად მოეთათბირებიან ერთმანეთს სხვადასხვა დონეზე ყველა იმ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გამო, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ინტერესებს ეხება.

ისეთი სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც, ორივე მხარის აზრით, საფრთხეს უქმნიან ან არღვევენ მშვიდობას, ისინი დაუყოვნებლივ დაუკავშირდებიან ერთმანეთს, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები წარმოქმნილი საფრთხის აღმოფხვრის ან მშვიდობის აღდგენის მიზნით.

მუხლი 8

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობას სამხედრო დარგში მათ შორის არსებულ შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა გათვალისწინებს, კერძოდ, ხელშეწყობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სამხედრო პერსონალის სწავლებაში, იმ შეიარაღებისა და აღჭურვილობის ათვისებაში, რომელსაც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას აწვდიან საბჭოთა შედეგების ლიკვიდაციის საქმეში მისი უნარის გაძლიერების, ისევე როგორც საერთოდ საერესიისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარის გაძლიერების მიზნით.

მუხლი 9

ამ ხელშეკრულების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად, ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე აცხადებს, რომ არ დადებს რაიმე კავშირს და არ მიიღებს მონაწილეობას სახელმწიფოთა რაიმე დაჯგუფებაში, აგრეთვე მოქმედებასა და ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 10

ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარე აცხადებს, რომ მისი ვალდებულებანი მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულების მიხედვით არ ეწინააღმდეგებიან ამ ხელშეკრულების დებულებებს, და კისრულობს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა რაიმე საერთაშორისო შეთანხმებაში, რომელიც შეუთავსებელია ამ ხელშეკრულებასთან.

მუხლი 11

ეს ხელშეკრულება ძალაში იქნება 15 წელიწადს მისი ძალაში შესვლის დღიდან.

თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე ზემოაღნიშნული ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ განაცხადებს, რომ სურს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იგი ძალაში დარჩება შემდგომი 5 წლის განმავლობაში და ასე მანამდე, სანამ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მაღალი მხარე მიმდინარე ხუთწლეულის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე წერილობით არ გააფრთხილებს მეორე მხარეს, რომ განზრახული აქვს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

მუხლი 12

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც უმოკლეს ვადაში მოხდება ქალაქ მოსკოვში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თვითეული რუსულ და არაბულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

დადებულია ქალაქ კაიროში 1971 წლის 27 მაისს, რაც შეესაბამება ჰიჯრით 1391 წლის 8 რაბია ას-სანის.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების
კავშირის სახელით
ნ. პოდგორნი.

არაბთა გაერთიანებული
რესპუბლიკის სახელით
ანვარ სადათი

პავლე შენგელია

უცერად გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი-ჰიდროენერგეტიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სკკპ წევრი 1951 წლიდან, ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი **პავლე გიორგიძე შენგელია.** საბჭოთა ენერგეტიკამ და სამეცნიერო საზოგადოებრიობამ დაკარგა დიდი მეცნიერი, საქართველოში ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, საინჟინრო და სამეცნიერო კადრების აღმზრდელი. დიდი კულტურისა და მაღალი მორალური თვისებების ადამიანი.

პ. შენგელია დაიბადა 1903 წელს ქუთაისში. ადრე დაობლებული, იგი 14 წლისა შეუდგა შრომითს საქმიანობას. 1923 წელს ექსტერნად ჩაბარა გამოცდები საშუალო სკოლაში და შეეგება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც 1929 წელს დაამთავრა.

ჯერ კიდევ სტუდენტმა პ. შენგელიამ 1928 წელს მუშაობა დაიწყო რიონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. 1932 წელს იგი გადაიყვანეს თბილჰიდროენერგოპროექტში, სადაც მუშაობდა უფროსის ინჟინრად, პროექტის მთავარ ინჟინრად.

1942-1943 წლებში პ. შენგელია შეთავსებით მუშაობდა ტრესტ ხრამჰესმშენში თავდაცვითი მნიშვნელობის ობიექტების დაპროექტებაზე. 1944 წელს იგი გადაიყვანეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, სადაც ხელმძღვანელობდა ენერგეტიკისა და სათბობის განყოფილებას.

1947 წელს პ. შენგელიამ დაიცვა დისერტაცია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 1956 წელს კი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1958 წელს მას პროფესორის წოდება მიენიჭა, 1951 წლიდან 1970 წლამდე იგი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორი.

პ. შენგელიამ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს 8 უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებასა და მშენებლობაში, რესპუბლიკის წყლის რესურსების გამოყენების კომპლექსური პრობლემების შემუშავებაში. მის მიერ შემუშავებული სქემების საფუძველზე აშენდა ისეთი მაღალეფექტური ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არის ლეჩხუმის, გუმათი-I, გუმათი-II, ჩითახევის და ბეჟიტის ჰიდროელექტროსადგურები; იყო საქართველოში მსხვილი ელექტროსადგურების ექსპლუატაციის ორგანიზატორი, ელექტროენერგეტიკოსთა მეცნიერული კადრების მომზადების ერთ-ერთი ინიციატორი.

პ. შენგელია არის 110 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქედან 75 ნაბეჭდია, ბევრი გადათარგმნილია უცხო ენებზე. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მონოგრაფია და საველმძღვანელო უმაღლესი საწავლებლის სტუდენტთათვის. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჰიდროენერგეტიკოსების, ჰიდროტექნიკოს-მშენებლების და მეცნიერ მუშაკთა მაღალკვალიფიკაციური კადრების მომზადებაში.

1958 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროავლიკის კათედრის პროფესორად. მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცული ბევრი საღოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

პ. შენგელიის მრავალმხრივმა და ნაყოფიერმა სამეცნიერო და პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მოუპოვა მას სპეციალისტთა ფართო წრეების და სამეცნიერო საზოგადოებრიობის აღიარება და დამსახურებული ავტორიტეტი, როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. იგი იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს, კომისიის, კომეტეტის სარედაქციო კოლეგიის წევრი, მონაწილეობა მიიღო მრავალტომიანი შრომის „საქართველოს ბუნებრივი რესურსების“ გამოცემაში. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით და საპატიო სიგელებით.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ინჟინრის და საზოგადო მოღვაწის სოციალისტური სამშობლოს პატრიოტის, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის, აკადემიკოს პ. შენგელიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი; საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტრო; საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი; საქართველოს მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი; ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი; საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობა; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; საქართველოს ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ლენინის ორდენოსანი ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“.

ერთიანი ფრონტი მშვიდობისა და დემოკრატიის

ხელი მოაწერეს

საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას

კაირო, 27 მაისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს კუბის რესპუბლიკურ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნინმ** და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელით — არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარემ **ანვარ სადათმა.**

ხელის მოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი **ი. გ. პავლოვსკი,** აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიურ ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ა. სკაჩკოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ელჩი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში **ვ. ვ. ვინოგრადოვი** და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირნი;

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ — ვიცე-პრეზიდენტი **მუსეინ აშ-შაფეი,** სახალხო კრების თავმჯდომარე **აფეზ ბაადაუი,** პრემიერ-მინისტრი **მაჰმუდ ფაეზი,** პრემიერ მინისტრის მოადგილე, მრეწველობის, ნავთობისა და მინერალური რესურსების მინისტრი, არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივნის მოვალეობის შემსრულებელი **აზიზ სიდეი** და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კაბინეტის სხვა წევრები.

ხელშეკრულებს ხელმოწერის შემდეგ **ნ. ვ. პოდგორნინმ** და **ანვარ სადათმა** მოკლე სიტყვები წარმოთქვეს.

ხელის მოწერას დაესწრო მრავალი საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტი.

ერთიანი კომუნიკე

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტის შესახებ

1971 წლის 25-დან 28 მაისამდე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის, არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარის ანვარ სადათის მიწვევით კაიროში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნინი.

ნ. ვ. პოდგორნინ შეხვდა და ესაუბრა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტს ანვარ სადათს, გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის მხრივ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო; სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ი. გ. პავლოვსკი; ასევე ამ. ელ. ალ-ბანა, ალ-ბანა, ალ-ბანა,

კონკურსში გამარჯვებული

ჟოსკოვიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: რუსთავის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ოფელიე კოტნას პიესა „ბანკანის“ დადგმით გაიმარჯვა საკავშირო კონკურსში და ჯილდოდ მიიღო საპატიო დიპლომი.

როგორც ცნობილია, თეატრმა აღნიშნული პიესა მიუძღვნა უნგრული დრამატურგიის ფესტივალს საბჭოთა კავშირში.

საპატიო დიპლომს ხელს აწერენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ფურცევა და ყიურის თავმჯდომარე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მ. ცარიოვი.

საპატიო დიპლომები მიიღეს აგრეთვე როლების საუკეთესო შესრულებისათვის რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ო. მელვინეთუხუცესმა (ბანკ ბანი) და მსახიობმა ნ. მგალობლიშვილმა. მათვე მიეცათ კონკურსის პირველი პრემიები.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პოლონეთი — საქართველო

ტაეს უკრავდნენ „სალხინოს“

ამ გაზაფხულზე პოლონეთში გამართულ საბჭოთა კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ გაგზავნა რუსთავის მოცეკვავეთა ანსამბლი „სალხინო“, რომელსაც ხელმძღვანელობს რ. მორჩილაძე.

კულტურის დღეები მიმდინარეობდა ქ. რიბნიკში და რიბნიკის ოლქში. ქართველი მოცეკვავეების გამოსვლას ყველგან დიდი წარმატება ჰქონდა, რაზედაც მეტყველებს ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების სახელზე პოლონეთიდან გამოგზავნილი მადლობის წერილი, რომელსაც ხელს აწერს ვარშავის საბჭოთა კულტურის სახლის დირექტორი ე. მილო.

აი რას წერენ პოლონელები:

ანსამბლ „სალხინოს“ წევრებმა 16-დან 25 აპრილის ჩათვლით კონცერტები გამართეს რიბნიკის მაღაროებში, სამრეწველო რაიონებში, მუშათა დასახლებებსა და რიბნიკის სხვა დასახლებებში.

საბჭოთა კულტურის დღეების საზეიმო გახსნაზე ქართველი მოცეკვავეების გამოსვლა პოლონეთის ტელევიზიამ ჩაწერა და უჩვენა მთელ რესპუბლიკაში. ადგილობრივი პრესა ფართოდ აშუქებდა ქართველი ხალხის წარგზავნილების გამოსვლებს და მაღალ შეფასებას აძლევდა მათ კონცერტებს.

ანსამბლმა „სალხინომ“ სამი კონცერტი გამართა ვარშავაში. იგი გამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტების, პოლონეთის უმსხვილესი რადიოჭარხნის მუშებისა და ახალგაზრდობის წინაშე.

ანსამბლმა „სალხინომ“ თავისი კონცერტებით კიდევ ერთი ახალი ფურცელი ჩაწერა პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 5

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მეხუთე ნომერი, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი.

„ROLAN GAROS“ KORTEBZE

PARIZI, 27 maisi. (saqkori). sesr kavshirisa chempionma tbilelma a. metreveli warmatebiani daamatavra wvimis gamo gadadebuli shekvedra italielis a. cugarelistan da pirveli gamarjveba moiqava saofrangetis lia chempionatze — 6:1, 6:2, 7:5.

sxva sabchoeli cheqburtelebi startze ertmanetis shekibrebashi warumatebelad gamoidnen. moskovelma v. egorovma waago shekvedra msoflios erth-erth uZlierespro fesionalt cheqburtelthan a. eshtan (amerikis shertebuli shtatebi), v. korotkovma kai polonelis t. novicikistan, xolo tbilelelma a. ivanovma — inglisteli v. shostan.

wyvetebi shekvedrebshi v. egorovma da v. korotkovma daamartxes italielebi k. barashvili da r. lombardi.

momavali dgh chvenis qveynis cheqburtelebisatvis arasasarbieli aRmoCnda. sesr kavshiris chempionma — a. metrevelma 3 mcire wrshi daamartxebda gaenaqada frangi a. prauaxistan shekvedraSi 4:6, 4:6, 5:7. m. moroxovma waago matchi iaponelis k. sasamacistan 4:6, 8:6, m. kaculamaa — frangi a. demenistan 6:1, 4:6, 2:6, 7:9.

LIDEREBS SABCHOTA NAKREBI

SAN-PAULOSHI dasasrulis uaxlovdeba msoflios pirveloba gadamashebs kalaTbTaSi qalaTa gundebisatvis. daumarcxebelad mxolod sabchota nakrebi oTxi mivida da lideri aRarebs. saintereso gamoxda brazilia da chexslovakiis gundebis shekvedra. brazilielebma, romlebic adre daumarcxebulad gamoxdilnenen, am matchshi warumatebloba gaeqadeq 59:68. kubelma kalaTburTelebma moupoes samxreT koreis gundi 72:65.

amrigad, saprizo adgilebis mTavari pretendentebi arian sesr kavshiris (4-dan 4 qula) da brazilis da chexslovakiis gundebi (5-dan 4 qula TviTeulebi).

„TORPEDOS“ GAMARJVEBA

KUTAISI. 28 maisi. (saq. kor.). dghes aq gaimarTa „a“ klasis pirveli jgufis gundebis sakavshiro chempionatis mxriv matchi qutaisis „torpedosa“ da sakartvelos „metalurgis“ gundebi. gaimarjvebas torpedoelebma 3:1. qutaisel-gebidan 2 goli avtori iyo xerxaZe, erTisa — ZaRaniA.

S. ZAVAXAZE.

KOMUNISTI

380008 თბილისი-8, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების—99-55-01, ინფორმაციის—93-16-90, სატირისა და ფელეტონის—99,60-21, უცხოეთის—93-95-97, წერილების—99-73-24, ილუსტრაციის—93-28-34.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

KOMUNISTI INDEKS 66443 უე 04671

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

ხალხური მუსიკის მოამაგენი

რ. ერისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა „შვიდკაცა“ მღერის...

მახარაძის რაიონის სახელმოხვეჭილ ვოკალურ ანსამბლს „შვიდკაცას“ თვითნასწავლი მუსიკოსი, ხელოვანი და პედაგოგი მიხეილ წავიშვილი ხელმძღვანელობს. მას არც კონსერვატორია დამთავრებული, არც რაიმე მუსიკალური კურსები გაუვლია, არც ვინმე გამოჩენილ მომღერლებთან ხმის დაყენებაზე უვარჯიშნია, მაგრამ ბუნებისაგან მომადლებულმა ნიჭმა მას საშუალება მისცა ფართო ასპარეზზე გამოსულიყო.

ვის არ მოუსმენია ანსამბლ „შვიდკაცასთვის“ ტელევიზორის ეკრანიდან, რადიოგადაცემებით, ცალკეული კონცერტებით საქართველოს რაიონებში, თბილისში, მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის გარეთაც... ბრიუსელსა, პოლონეთსა, ბელგიასა, ჩეხოსლოვაკიასა, იტალიაში და სხვაგან.

თვითნასწავლი მუსიკოსი მ. შავიშვილი მხატვრულ თვითმოქმედებაში 1935 წლიდან ჩაება. მახარაძის პირველ საშუალო სკოლაში, სადაც სწავლის გასაგრძელებლად შუბლიერ სოფელ ჭანეთიდან გადავიდა, მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა, მომღევნო წლებში კი საკოლმეურნეო ანსამბლს ედგა სათავეში.

ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს მღეროდა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. ის-ის იყო ინსტიტუტი დაამთავრა, რომ დიდი სამამულო ომის ხანძარმა იფეთქა.

ომიდან ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა. მახარაძის სამუალო სკოლაში მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, სადაც ერთდროულად სკოლის მომღერალთა გუნდს ჩაუდგა სათავეში, ამ გუნდმა კი რაიონულ დათვალიერებაზე ორჯერ პირველი ადგილი დაიკავა.

შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ მახარაძის სამომხმარებლო კოოპერაციის თვითმოქმედი ანსამბლების ხელმძღვანელად.

1958 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მისმა კრიმანჭულმა მოხიბლა მოსკოველები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა იგი მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოვა.

იმავე წელს იგი ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე გამართულ საბჭოთა მუსიკის კვირეულში მონაწილეობს, სადაც მისმა კრიმანჭულმა მსმენელები **და ჟიურის** წევრები აღტაცებაში მოიყვანა. კრიმანჭულით გაოგნებულმა გრომა უცხოელმა მიხ. შავიშვილს პირის დადება სთხოვა, ყელშიც კი ჩახედა, „რადაც ინსტრუმენტი“ ხომ არა აქვს შიგ ჩადგმული...

მსოფლიო ფესტივალზე წარმატებით გამოსვლისათვის მ. შავიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვოკალური ანსამბლი „შვიდკაცა“, რომელიც მ. შავიშვილმა მახარაძის სარაიონო კულტურის სახლთან ჩამოაყალიბა...

მ. შავიშვილი თავს უყრის მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, კრებს, აღადგენს და ამუშავებს ძველ და ახალ ქართულ ხალხურ სიმღერებს, რითაც „შვიდკაცა“ პოპულარული ხდება როგორც რესპუბლიკაში, ისე საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც. ანსამბლის რეპერტუარშია სიმღერები: „ნაკადული“, „ჭრელო პეპელა“, „სომღერა მეგობრობაზე“, „სალამი ჩიტუნებო“, „შვიდკაცა“, „ხასანბეგურა“, „ინდი-მინდი“, უძველესი ხალხური სიმღერა „მანანა, იმერული „სახუმარო“ და „გულო შავგულო“.

შვიდკაცას ნეგრებმა თ. ქილიფთარმა, ბ. ინგოროყვამ, ა. ბაბიოლოძემ, ა. გოგავამ, ზ. ბოლქვაძემ, ც. სიხარულიძემ, ა. ბეშიტაშვილმა და ნ. ქარცივაძემ მიხეილ შავიშვილის ხელმძღვანელობით მოხიბლეს ბელგიელები, პოლონელები, ჩეხები და სხვ.

შარშან თებერვალში ვოკალურმა ანსამბლმა „შვიდკაცამ“ მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებში იტალიაში და კონცერტები ჰქონდა პალერმოში, კატონიაში, მესინაში, სიცილიასა და სხვა ქალაქებში...

მეოთხედი საუკუნეა მ. შავიშვილი ხალხური მუსიკალური ხელოვნების შესწავლისა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარების საქმეს ემსახურება. მან აღადგინა, დაამუშავა და ხალხში გაიტანა ორმოცდაათზე მეტი სიმღერა: „საკოლმეურნეო“, „დედის წერილი“, „საქართველოს ტურფავ მხარევ“, „გურია წინათ და ახლა“, „აჭარაზე“, „ნაკადული“, „პარტიზან ნესტორ კალანდარიშვილზე“ და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ცენტრალურმა გაზეთებმა „პრავდამ“, „იზვესტიამ“, რესპუბლიკურმა პრესამ აღნიშნეს ანსამბლის ღვაწლი, დამსახურება და ენთუზიაზმი. 1958 წლის 2 აპრილს „პრავდა“ წერდა: „ვირტუოზული ბრწყინვალეებით იმღერეს „ხასანბეგურა“ (სოლისტი მ. შავიშვილი — მახარაძელი მასწავლებელი)“. „იზვესტია“ აღნიშნავდა „მაყურებელი აღტაცებით შეხვდა სიმღერებს „გაზაფხული“ და განსაკუთრებით გულით „ხასანბეგურას“, რომლის სოლისტი იყო მ. შავიშვილი, — ხალხური მომღერალი ქ. მახარაძიდან. მ. შავიშვილი ფლობს უიშვიათეს მაღალ ხმას — კრიმანჭულს“.

მიხეილ შავიშვილი თავის ცხოვრებასა და ენერგიას სიმღერების ამბარს ახალგაზრდა მომღერლების აღზრდასა და დასტატებას. მას როგორც თვითმოქმედ მომღერალ-მუსიკოსს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ ხალხურ თვითშემოქმედებაში. ვუსურვებთ ამ ნიჭიერ თვითნასწავლ შემოქმედს და მის ანსამბლ „შვიდკაცას“ მომავალში კვლავ დაეტკბოს და გაეხარებინოს სიმღერისა და მუსიკის მოყვარულთა გული.

გ. შავიშვილი.

სურათებზე: ზემოთ — მ. შავიშვილი, ქვემოთ — მღერის ანსამბლი „შვიდკაცა“.

სპორტი

საჭადრაკო გვირგვინის პრეტენდენტები

ბ. ლარსენი

ლარსენს მოჭადრაკეები ხუმრობით ეძახიან „დანიის უფლისწულს“ და არა მარტო მისი ეროვნების გამო, არამედ საჭადრაკო „გვირგვინზე“ მისი პრეტენზიებისთვისაც. მისი სატურნირო წარმატებები იმდენად შთამბეჭდავია, რომ შეუპოვარი ბენტი მართლაც შეიძლება აღიარებულ იქნას „საჭადრაკო ტახტის“ ერთ-ერთ ყველაზე მრისხანე მაძიებლად.

რამდენიმე წლის წინათ ლარსენმა მოიგო თითქმის მთელი ათი საერთაშორისო ტურნირი (ამასთან სულ სხვადასხვა ხაზომისა) და განაცხადა — მსოფლიოში ტოლი არა მყავსო. განსაკუთრებით ცხარე სანელებელი, რომლითაც ეს წარმატებები იყო შეზავებული, გახლდათ ის, რომ ლარსენმა გაუსწრო გამოჩენილ საბჭოთა გროსმაისტერებს, მათ შორის სპასკის, პეტროსიანს, კორჩნოის, ტალს, ბოტვინიკს, სმისლოვს და სხვებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მისი გამარჯვება სუსას (ტუნისი) საზონთაშორისო ტურნირში, როცა მან ბრწყინვალე სტილში დაისაკუთრა პირველი პრიზი და რამდენიმე ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს.

ერთ-ერთმა მეტისმეტად სულწასულმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა ისიც კი განაცხადა, რომ „სადაც ლარსენი თამაშობს, იქ რუსებს არაფერი ესაქმებათ“. ეს იყო 1967 წელს. მომდევნო წელს კი გაიმართა მატჩების ციკლი პრეტენდენტთა შორის. პირველ ეტაპზე „დანიის უფლისწულს“ კინაღამ გზა გადაუღობა არანაკლებ შეუპოვარმა უნგრელმა ლაიოშ პორტიშმა. სტარტზე მოპოვებულმა ორმა იოლმა გამარჯვებამ ვერ უზრუნველყო ადგილი გამარჯვება მთელ მატჩში. ლარსენმა ჯერ საშუალება მისცა მეტოქეს გაეთანაბრებინა ანგარიში, ხოლო შემდეგ, ბოლოსწინა პარტიაში, პორტიშმა მოსაგები პოზიციაც კი მიიღო. ლარსენი უფსკრულის პირას აღმოჩნდა... მაგრამ მას სპორტულმა ბედმა გაუღიმა. პარტიის დამთავრებამ, პარტიისა, რომელიც მას უნდა წაეგო, დანიელს ყაიმი მოუტანა. ბოლო, მეათე პარტია კი ლარსენმა კვლავ რაღაც იდუმალი სიმსუბუქით მოიგო.

და აი აღმოჩნდა, რომ „ჭადრაკის დაფასთან გულცივი მკვლელი“, როგორც მას საზღვარგარეთელი ჟურნალისტები იხსენიებენ, ზოგჯერ წაიბორძიკებს ხოლმე. ყველა კითხვაზე პასუხი უნდა გაეცა სპასკისთან მატჩს ნახევარფინალში. პრეტენდენტთა წინა ტურნირის გამარჯვებული, 1966 წელს მსოფლიო პირველობაზე გამართული ფინალური მატჩის მონაწილე — ბორის სპასკი საკმაოდ სერიოზული გამომცდელი უნდა გამხდარიყო.

და რა გვიჩვენა ამ გამოცდამ? გამოირკვა, რომ უფლისწულს ჯერ კიდევ ვერ მიეღწია სამეფო სიმწიფემდე. ლარსენმა სპასკისაგან ისეთი გამანადგურებელი მარცხი იწვნია, რომ მესამე ადგილისათვის ტალთან გამარჯვებამაც ვერ დააშომშინა იგი. ცხადი გახდა, რომ ლარსენი ერთ-ერთი დიდი გროსმაისტერია, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი და არა ყველაზე ძლიერი. გვირგვინზე ოცნება კვლავ გადაიდო სამი წლით.

სხვათა შორის პატივმოყვარე დანიელმა ამ დროისათვის უკვე მოასწრო ბევრი რამ მსხვერპლად გაეღო ამ ოცნების გამო. მან ორჯერ შეწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება, და ბოლოს აღარც დუმთავრებია იგი, რათა არ დაეკარგა არც ერთი წელი ქალაქების უმაღლესი საჭადრაკო ტიტულისათვის ბრძოლაში. მას შეეძლო გამხდარიყო ინჟინერი ან ფილოლოგი-სპეციალისტი. მაგრამ ბენტმა გადაწყვიტა: რათ მინდა დიპლომი, „რაკი პროფესიონალ მოჭადრაკედ გახდომა გადავწყვიტე?

თუმცა, მართლაც ბევრი რამ გაიღო მსხვერპლად ლარსენმა? იგი ხომ უამისოდაც საკმაოდ განათლებულია — თავისუფლად ფლობს რამდენიმე ენას, მათ შორის რუსულსაც, შესანიშნავად უჭრის კალამი, კარგად არის აღზრდილი და ფრიად სასიამოვნო მოსაუბრეა. რომელიც ნებავთ არასაჭადრაკო თემაზე, მატერიალურადაც სრულიად უზრუნველყოფილია. ჰყავს მომხიბლავი მეუღლე ლიზი — მისი უერთგულესი თანამგზავრი უმნიშვნელოვანეს ასპარეზობებზე, სადაც იგი მას მწვრთნელის მაგივრობასაც უწევს და სეკუნდანტობასაც... ასე რომ, უფლისწულს ყველა პირობა აქვს შემოქმედებისათვის, გამარჯვებისათვის!

და ლარსენსაც სჯერა თავისი თავისა. იგი ამპარტავნობად არ თვლის ასეთ უშუალო განცხადებასაც კი: მე მსოფლიოს ჩემპიონი ვიქნები! და განმარტავს: ამაში რომ დარწმუნებული გახლავთ, ეს ალბათ ბევრ ეჭვს ბადებს. ეს ეჭვი ბევრ ადამიანს ეპყრობა. ეს ეჭვი ბევრ ადამიანს ეპყრობა. ეს ეჭვი ბევრ ადამიანს ეპყრობა